მშობლის კომუნიკაციური სტილის გავლენა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე

ბელა შალამბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად.

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა შამათავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ბელა შალამბერიძე

25.06.2021

აბსტრაქტი

მშობლისა და შვილის ურთიერთობა, აღზრდისა და განათლების თემა ყოველთვის იყო და არის აქტუალური თემა, განსჯისა და კამათის საგანი. ეს თემები განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ დღეს, რადგან გლობალიზაციამ და ტექნიკურმა რევოლუციამ ძალიან შეცვალა, დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო მშობლისა და შვილის ურთიერ დამოკიდებულებაზე, გაამწვავა აღზრდისა და განათლების პრობლემა, არამედ ზოგადად სოციალურ ურთიერთობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ტიპის კომუნიკაციის საშუალება არსებობს და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უმოკლეს დროშია შესაძლებელი ადამიანთან დაკავშირება და მოძებნა, სამაგიეროდ უფრო და უფრო პრობლემური ხდება ცოცხალი სოციალური კომუნიკაცია არამარტო ჩვენს საზოგადოებაში, არამედ გლობალურად. სამწუხაროდ იმატა კომუნიკაციური და პრაგმატული ენის სირთულეებმა ბავშვებში. იზრდება ისეთ დარღვევათა და დიაგნოზთა რაოდენობა, სადაც კომუნიკაცია, პრაგმატიკა, სოციალური უნარები ერთი ერთი ძირითადი სირთულეა. ასეთებია: აუტისტური სპექტრის აშლილობა (2009 წლის მონაცემებით საქართველოში 68 ბავშვიდან 1 შემთხვევა, 2016 წლის მონაცემებით, კი მსოფლიოში ყოველ 54-ში 1 ბავშვი), ცერებრული დამბლა (მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით მსოფლიოში 4 ბავშვი ყოველ 1000 ახალშობილში, 3,4 - საქართველოში 2010 წლის მონაცემებით), ენობრივი დარღვევები, ყურადღების დეფიციტი, ქცევითი დარღვევები და სხვა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მშობლისა და ბავშვის კომუნიკაციაზე დაკვირვება, მათი მიდგომებისა და საკომუნიკაციო სტილის განსაზღვრა, იმის დადგენა თუ რა გავლენას ახდენს მშობლის კომუნიკაციური სტილი ბავშვის განვითარებაზე და აისახება თუ არა კომუნიკაციური სტილის ცვლილება ბავშვის კომუნიკაციურ განვითარებაზე.

კვლევის მიზანია ბავშვისა და მშობლის თავისუფალ თამაშზე დაკვირვებით მშობლის საკომუნიკაციო სტილის იდენტიფიცირება, ბავშვის კომუნიკაციური განვითარების შეფასება, რის შემდეგაც მოხდება მშობელთან მუშაობა საკომუნიკაციო სტილზე ინფორმაციის მიწოდება, რაღაც პერიოდის შემდეგ კვლავ მათ თავისუფალ

თამაშზე დაკვირვება, ასევე ბავშვის გადაფასება, რათა დადგინდეს და გამოიკვეთოს კომუნიკაციური სტილის ცვლილების ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე.

საკვლევ სამიზნე ჯგუფად შეირჩა ერთ ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი - ცერებრული დამბლის მქონე 3-6 წლის ბავშვები და მათი მშობლები. კვლევის ჩატარების ადგილად კი ქუთაისის რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო. თავისუფალ თამაშზე დაკვირვება და ვიდეოს ჩაწერა მოხდა ამავე ბავშვების სახლებში, რომლებიც შემდგომ მშობლებმა გამოაგზავნეს შესაბამის მისამართზე.

სამაგისტრო კვლევის დასაწყისში და ბოლოს კომუნიკაციური მატრიცით (https://communicationmatrix.org/) შეფასდა კვლევაში მონაწილე ცერებრული დამბლის მქონე 5 ბავშვი. მშობლებთან ერთად მუშაობა მიმდინარეობდა იმ სირთულეების დასაძლევად, რაც პირველი შეფასების შედეგად დადგინდა. ბავშვთან და მშობელთან მუშაობა მიმდინარეობდა ინდივიდუალურად, რეკომენდაციების ეტაპობრივად გაწერით. კვლევაში მონაწილე ხუთივე ბავშვმა გარკვეული პროგრესი აჩვენა განვითარების მხრივ, თუმცა ვფიქრობ 6 კვირაში ეს მცირედი განვითარებაც კომუნიკაციური მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანია და ბევრის მთქმელი სამომავლო პერსპექტივისთვის. მთავარია ეს პროგრესი და მუშაობა გაგრძელდეს სისტემატიურ რეჟიმში.

რაც შეეხება მშობლებს, მათი შერჩევა მოხდა ბავშვებთან თამაშის ვიდეოების ანალიზის შემდეგ. მშობლები შეფასდნეკვლევის ავტორია მიერ შემუშავებული შკალის მიხედვით, რომელიც ქულობრივად აფასებდა მათ როლს ბავშვთან ურთიერთობაში. შკალის ქულობრივ მაჩვენებლებს გთავაზობთ **დანართ 1**-ში. მშობლებს ჩაუტარდათ ვორქშოფი კომუნიკაციურ სტილზე, მიდგომის სტრატეგიებზე და მშობლის, როგორც კომუნიკაციური პარტნიორის როლზე ბავშვის განვითარებაში. თემატიკა მთლიანად დაფუძნებული იყო ჰანანის ცენტრის მიერ შემუშავებულ სახელძღვანელოზე - It takes two to talk. ასევე მშობლებთან ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრები და მათივე გადაღებული თამაშის ვიდეოს განხილვები, მშობლემა მიიღეს უკუკავშირი და თერაპევტთან ერთად დასახეს შემდგომი მუშაობის სტრატეგიები.

ამ ინტენსიურმა მუშობამ კი საკმაოდ შედეგი გამოიღო, პროგრესი შეიმჩნევა როგორც ბავშვების კომუნიკაციურ განვითარებაში, ასევე მშობლის

დამოკიდებულებაში, ბავშვთან მიდგომაში, რაც აშკარად თვალშისაცემია მომდევნო გადაღებულ ვიდეოებში. შესაბამისად საკმაოდ განსხვავებულია მშობლების შეფასებები, დირექტიული სტილი საკმაოდ შერბილებულია და მიმყოლის როლში გადასვლაც აშკარად შეიმჩნება, თუმცა რადიკალური ცვლილების მოხდენისათვის კიდევ მეტი დრო და ბევრი მუშაობაა საჭირო.

Abstract

The topic of the relationship between parent and child, upbringing and education has always been and still is a top issue of discussion and debate. These topics are relevant especially today, because globalisation and the technical revolution have changed a lot and greatly influenced not only child-parent relationship, sharpened the problem of upbringing and education, but also social relations in general.

Although there are so many types of communication and it is possible to connect and find people in any part of the world in the shortest time, alive social communication is becoming more and more problematic not only in our society but also globally. Unfortunately, communication and pragmatic language difficulties have increased in children. The number of disorder and diagnoses, where communication and pragmatic, social skills are one of the main difficulties, is growing. These are: Autism Spectrum Disorder (1 case out of 68 children in Georgia in 2009, 1 case in 54 children through the world in 2016), Cerebral Palsy (according to the World Health Organisation date, 4 children in every 1000 new-borns in the world, 3.4 case in Georgia in 2010), language disorders, attention deficit, behavioural disorders and more.

The aim of this master work is to observe the communication between the parent and the child, to identify their approaches and communication style, to determine how the parents' communication style affects the child development and whether the change in communication style affects the child's communication development.

The aim of the research is to identify the parent's communication style by observing the child-parent free play, assess the child's communication development, then work with parents to provide them with the information about the communication style, to monitor their free play again after a while, also the children will be reassessed to identify the influence of this changes on child's development.

5 children from one of the most vulnerable group were selected as the study target group – children aged 3-6 with cerebral palsy and their parents. The research place is Kutaisi Rehabilitation Centre – NAIO. Free play was observed and video recorded at children's home by parents, than those videos were sent to the appropriate place.

At the beginning and the end of the master study, 5 children with cerebral palsy were assessed with communication matrix (https://communicationmatrix.org/). Intensive work was held with parents to overcome the difficulties identified by the first assessment. Working with the children and parents were done individually, recommendations were written step by step. All five children in the study showed some progress in terms of development. I think even this small development in 6 weeks is quite important in terms of communication and says a lot for the future perspective. It is the most important to keep this progress and working in a systematic manner.

As for the parents, they were selected after analysing their video of playing with their children. Parents were assessed by a scale created by author of this study. It rated their role in the relationship with their children. Scale scores are provided in **appendix 1.** Parents were given workshops on communication styles, approach strategies and the role of a parent as a communication partner in child development. Workshop theme wholly was based on a guide book – It takes two to talk, created by the Henan Centre. Individual meetings and video discussions were also held with the parents, they received feedback and devised future working strategies together with therapist.

This intensive work has quite good result, it has evidence progress as in the communication development of children, as well as in the parents' attitude, in the approach to the child, which is clearly visible in the following videos. Consequently, the parents' assessments are quite different, the directive style is quite softened and the transition to the role of tuned in parent is clearly noticeable, although more time and a lot of work is needed to make a radical change.